პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
სამშაბათი
12
აგვისტო
№ 188
(16314)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ხუთწლედი—ვადამდე!

ხუთწლედის დამლევამდე 141 დღე დარჩა

სულ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება დამამთავრებელი წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის. ეს ჩვენი ღირსების საქმეა!

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

მოდის მტკიცე ბეტონი

ზიმდინარე წლის 7 თვეში უწყვეტად მოქმედმა ბეტონის ქარხანამ (დირექტორი ა. ხვიტია) კაშხალის ტანს მიაწოდა 77 ათას 494 კუბური მეტრი მაღალი სიმტკიცის ბეტონის ხსნარი, რაც მარშანდელ შესაბამის პერიოდში მოწოდებულ მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება. ივლისი მეტად ნაყოფიერი იყო საწარმოს კოლექტივისათვის — 16 ათას 404 კუბური მეტრი ბეტონია მის ანგარიშზე.

ქარხნის კოლექტივმა თვალდებული წლის ბოლომდე გამოუშვას 138 ათას 616 კუბური მეტრი ბეტონი — 5.000 ტონით მეტი, ვიდრე გეგმა თვალისწინებს.

საწარმოს ბევრი მუშა დამკვრელია. 1976 წლის ანგარიშში მუშაობენ ელექტრომექანიკოსები: რ. კაფიანი, ლ. სკვორცოვი, ელექტრომუშადებელი ვ. ჭანაშია, სამართავი პულტის ოპერატორები ნ. ალეინიკი, ტ. ტაბატაძე, ხარატი მ. ემელიანოვი.

ლ. ბარძაია,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი.

ხუთწლედი შესრულებულია

ზესტაფონი. ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის სადგურის (უფროსი ფ. კიკვიძე) მრომელები დღანან რა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ეახლებიან ფ. კიკვიძე) მრომელები ტანს მიაწოდა 77 ათას 494 კუბური მეტრი მაღალი სიმტკიცის ბეტონის ხსნარი, რაც მარშანდელ შესაბამის პერიოდში მოწოდებულ მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება. ივლისი მეტად ნაყოფიერი იყო საწარმოს კოლექტივისათვის — 16 ათას 404 კუბური მეტრი ბეტონია მის ანგარიშზე.

ქარხნის კოლექტივმა თვალდებული წლის ბოლომდე გამოუშვას 138 ათას 616 კუბური მეტრი ბეტონი — 5.000 ტონით მეტი, ვიდრე გეგმა თვალისწინებს.

საწარმოს ბევრი მუშა დამკვრელია. 1976 წლის ანგარიშში მუშაობენ ელექტრომექანიკოსები: რ. კაფიანი, ლ. სკვორცოვი, ელექტრომუშადებელი ვ. ჭანაშია, სამართავი პულტის ოპერატორები ნ. ალეინიკი, ტ. ტაბატაძე, ხარატი მ. ემელიანოვი.

ლ. ბარძაია,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი.

5 თვით ადრე

ტყიბული. (ხაკ. კორ.). ტყიბულ-შახტმენის სამმართველოს (უფროსი ვ. მარუაშვილი) კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა, ვადაზე ხუთი თვით ადრე შესრულა ხუთწლიანი გეგმა.

ოთხ წელსა და შვიდ თვეში მშენებლებმა შესრულეს 28,4 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გადაყვანეს 6 კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის სამთო გვირაბმაშვეარი, საექსპლოატაციოდ გადასცეს 20.500 კვადრატული მეტრი ხაცხოვრებელი ფართობი.

პატაკის ხელმოწერის უფლებისათვის

რესპუბლიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დიდი აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიონის კომკავშირელთა პატრიოტულ თაოსნობას დაიწყონ ახალგაზრდობის შრომითი შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობისადმი ლენინური კომკავშირის პატაკის ხელმოწერის უფლებისათვის.

ბაუმანელთა წამოწყებას ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობთა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ ვარდენ ჩიბურდანიძის ხელმძღვანელობით.

მოსკოველთა ინიციატივას რომ გაეგებნენ, ბრიგადის წევრები შეიკრიბნენ ცვლის შემდეგ სახელდაბელო ერებაზე. მათი საუბარი იყო ხანმოკლე — ბრიგადის წევრებს ხომ ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული, აწონ-დაწონილი. ოთარ ბერიძელიძემ, მაგალითად, გაიანგარიშა, რომ შრომის ნაყოფიერების აძაღლება შეიძლება 11 პროცენტით, ხოლო თამაზ გალუმოვმა ვალდებულებაში ჩაწერა: ყოველთვიური ნორმები შესასრულოს ცოტა 140 პროცენტით.

ბრიგადას ყველა საფუძველი აქვს მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის — მისი წევრები გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, საწარმოო კულტურით, ბრიგადისა და ქარხნის შინაშე პირადი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგრძნებით. ხსენებულად ჩიბურდანიძის ბრიგადის წევრები ვერც გაზრდიდნენ წლითთიწლობით მუშაობის ტემპს, ვერ გაიმარჯვებდნენ „კომკავშირულ ორწლედში“, რომელიც მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს, მომდინარე წლის დამდეგისათვის ვერ შეასრულებდნენ ხუთწლიან დავალებებს.

ჩიბურდანიძის ბრიგადა ნაუბრძოლია ლენინური კომკავშირის პატაკის ხელმოწერის უფლებისათვის და ვალდებულებაში კიდევ ერთი პუნქტი ჩაწერა: სკკპ 25-ე ყრილობის გახსნის დღეს სამშობლოს უპატაკოს 1976 წლის გეგმების შესრულება.

„ხუთწლედს — გამარჯვებული ფინიში!“ სკკპ XXV ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!“ ბაუმანელთა მიერ წამოწყებული შეჯიბრების ამ დეკეზს ფართოდ დაუჭირა მხარი საქართველოს ქარხნებისა და ფაბრიკების კოდეკ 4 ათასმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, სადაც დაძაბული ბრძოლა გაშლილი უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, სკკპ XXV ყრილობის რესპუბლიკის ახალგაზრდობის შრომითი სარეკორდებით შეხვედრისათვის. (საინფორმ).

გეგმის გადამეტებით

ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შესრულეს კურკოვანი ხილის დამზადების მიმდინარე წლის გეგმა. დამზადებულია 255 ტონაზე მეტი კურკოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ტონისა. დამზადება გრძელდება. „ კომუნისტის“ რედაქციის აცნობეს პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

ლანჩხუთის რაიონმა ვადამდე შესრულა კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 600 ტონის ნაცვლად ხალხმეურნეობის მიეკუთვნა 620 ტონაზე მეტი კურკოვანი ხილი. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს აეკანის, ზემო და ქვემო აკეთის, შუხუთის, მამათის, ლეხის კოლმეურნეობებმა.

კურკოვანი ხილის დამზადება გრძელდება. ამის რედაქციას აცნობინებს ლანჩხუთის რაიონის ხალხის მეურნეობის საამორეკლო.

3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲣᲨᲣᲠᲘ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ

ᲨᲕᲘᲓᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲘᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საშუშაო დამთავრდა. ქარხნის შესასვლელთან ახალგაზრდა მუშებმა თავი მოიყარეს და ტრანსპორტის მოლოდინში გაცხარებული საუბარი გააბეს.

— ეგეშარიტი ბედნიერება შრომასა და ძიებაშია, ბედნიერია ის, ვინც ალალად შრომობს და თვალნათლივ ხედავს თავისი შრომის ნაყოფს, — ამბობდნენ ისინი.

ქუთაისში ენგენლის ქუჩაზე ბევრი ლამაზი სახლი დგას, ბევრი ლამაზი პატარა ეზოა, მაგრამ მინაგო ვაშაყმაძის კარ-მიდამოს გერცერთი ვერ შეედრება. ეიშკრიდან მოყოლებული, ვიდრე სახლამდე ყოველი გოჯი მიწა მიზნობრივად აქვს გამოყენებული. ზოგან ვაზი გაუშვებია, ზოგან ხეხილი უხარია. ტალავერის გაყოლებით მიწაში ქვევრები ჩაუურგავს. ერთი სიტყვით, ეუჩიდანვე ჩანს გამარჯვ და შრომისმოყვარე კაცის ნაამაგარი.

დილაადრიან ეიშკარი რომ გაიღება, სამუშაოდ მიმავალ ამ სახლის ბინადარი კუთხეშეზობლების ღიმილი მიაცილებთ. ოჯახში მხოლოდ ქმარ-შვილზე ზრუნვით თმადათოვლილი დიასახლისი რჩება და მასაც ერთი წუთითაც ვერ ნახავთ მოცლილს.

თითქმის სამი წელია ექვს ათიოდ წელს გადაასაჯა მინაგო ვაშაყმაძემ, მაგრამ რაც თავი ახსოვს, ან, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, აკვნიდან ხელი რომ ამომიშვეს, შრომა და გარჯა არ მოჰკლებია.

— უშრომლად ერთ წუთსაც ვერ გავძლებ,— ამბობს იგი, — დამაფასეს, ხანდახმულობის პენსიაც დამინიშნეს, მაგრამ კიბალამ მაწყენინეს, დაისვენეო, მითხრეს, ცოცხალი კაცის დასვენება ისეც შრომაშია. არაფერით არ მოვიშვი ქარხნის ხელმძღვანელობას და სამეურნეო საამქროში მტკიცითავად გამაფორმეს. კმაყოფილი ვარ. შედარებით იოლი სამუშაოა. ისე, კაცმა რომ თქვას, მაინც ძირითად საამქროებში სჯობდა, მაგრამ იქ, ალბათ, უფრო ახალგაზრდა ჯანია საჭირო.

მერე შენერდა, დაფიქრდა და სინანულით დაუმატა: ზოგიერთი ახალგაზრდის საქციელი პირდაპირ მაკვირვებს, უსაქმურად რა აძლებენთო.

ოდესაც წელია მინაგო ელექტრომექანიკურ ქარხანაში მუშაობს და ამ ქარხნის გარეშე სიცოცხლე ვერც კი წარმოუდგენია. ქარხანაში მუშაობს მისი ხუთივე შვილი და რძალი. უფროსი ვაჟი — ზურაბი ელექტრომანქანების საამქროს მბურავია, ხოლო მისი მეუღლე რუსუდანი — სპეშედლო საამქროს მტკიფრავი. მომდევნო ვაჟი გელა — ქარხნის ავტობუსის მძღოლია, ხოლო ოთეტრისი ძმა იუზა — ამჟრეგ მექანიკური საამქროს ოსტატი. ამავე საამქროში ხარატად მუშაობს ნაბოლარა ვაჟი ვალერი, ხოლო მინაგოს ერთადერთმა ქალიშვილმა ეუფუნამაც საშუალო სკოლა დაამთავრა და შამისა და ძმების კვალს გაჰყვა, საწარმოში ნიდფერი აშენე მეშინინენე იყო, მერე დაუსწრებლად უმაღლესი განათლება მიიღო და ახლა ქარხნის ლაბორატორიის ინჟინერ-ქიმიკოსია.

...ახლახან მინაგო ვაშაყმაძეს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანთან ზაალ ხვიჩიასთან ერთად შინ ვესტუმრეთ. გულით გვიხარია.

— მუშა კაცის მასპინძლობა საქვეყნოდ არის განთქმული, გვითხრეს, მინაგო კარგ ღვინოს აყენებსო და გასასინჯად მოვედით, — იხუმრა ზაალმა.

— სტუმარი ღვთისაა, — ღიმილით წარმოთქვა მიხაგომ, შემდეგ მოიბოდიშა და უმცროს ვაჟს ვალერის მიუბრუნდა: შენ წადი, შვილო, არ დაგვიანო, სტუმრებს მე მივხედავ.

ამკრეგ-მექანიკურ საამქროში ახალი დავალება მიუღიათ, საექსპორტოდ მზადდება ელექტროცენტრიდანული და არტეზიული ტუმბოები. ამ საქმეში ვალერიც ჩართულია და ამიტომაც აინჩარა მამამ.

— რატომ მაინც და მაინც ერთ ქარხანაში ირჩიეთ მუშაობა? — ვკითხე მინაგოს უფროს ვაჟს ზურაბს, — როცა ვალერი დაგვემშვიდობება.

— ხომ გაგიგონიათ, კეცი გვარზე ხტისო, — ამბობს ზურაბი, — ქარხანა მამამ შემაყვარა. ბავშვობიდანვე მის წრეში ვტრიალებდი, ხალამის სკოლა დავამთავრე, შემდეგ ავტომექანიკური ტექნიკუმი. ჩემი მაშინდელი მასწავლებელი მიში ეკდოკიმოვი იყო. სახარატო საქმეს სწორედ მან მაზიარა. მერე მინჩიეს და მბურავის პროფესიასაც დავეუფლე. ახლა, როგორც მზედავთ... ძმებმა ალბათ, მე მომბაძეს, ჩემსავით ყველამ ტექნიკუმი დამთავრა, სამსახურშიც ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი.

საუბრის ძაფი თანდათან გეთმა. თავიანთი ოჯახისი იცით ვაშაყმაძეებმა ქარხნის აკადემიკოსი, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქციის ანგარიშში, რომელიც ელექტრომექანიკოსებმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ იკისრეს, 200 ათასი მანეთი მარტო ელექტრომანქანების საამქროს წილად მოდის. ხელფასმრეგ მბურავს შემუშავებული აქვს პირადი გეგმა და ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს.

უფროს ძმას არც გელა, იუზა და ვალერი ჩამორჩებიან. როცა დავიანგარიშეთ, ოჯახის თვიური შემოსავალი ათას ას მანეთს აღემატება, მამის სახლის გვერდით საკუთარი დანზოგებით გელამ და იუზამ ახალი ბინები აიშენეს. ზურაბს კი ქარხნის ხელმძღვანელობამ ოროთახიანი ბინა მისცა და ცოლ-შვილით უკმეფ დამოუკიდებლად ცხოვრობს.

ვაშაყმაძეთა მუშური დინასტია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დამკვრელური შრომის ვახტზე დგას.

დ. გედეონიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მარცხნიდან — ეუფუნა, იუზა, რუსუდან, მინაგო, გელა, ზურაბ და ვალერი ვაშაყმაძეები.

ბ. ᲛᲐᲚᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲘᲡ ფოტო.

რედაქციისაგან: მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ ხუთგელთაო-სახალხო შეჯიბრებაშია ჩაბმული ახლა ჩვენი სახელოვანი მუშათა კოლექტივი, ხოფლის შრომელები, ინტელიგენცია. ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ფინიშის ყოველი საათი, ყოველი დღე დამკვრელური შრომით აღინიშნება. ამ დიდ ლაშქრობაში მონაწილეობენ მთელი ოჯახები, თაობიდან თაობას გადაეცემა მუშური დინასტიების ტრადიციები.

ერთ ახეთ ოჯახზეა საუბარი ამ წერილშიც.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მკითხველებს თხოვს მოგვაწოდონ წერილები მუშათა და კოლმეურნეთა ოჯახების დინასტიებზე, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებაში, პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებაში.

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. Გ. ᲰᲣᲡᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲘᲐᲚᲢᲐ, 10 აგვისტო. (საკრესი). 10 აგვისტოს ყირიმში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან გუსტავ ჰუსაკთან, რომელიც დასასვენებლად იყო საბჭოთა კავშირში.

ორი მოძმე პარტიის ხელმძღვანელებმა განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხები. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა დიდი შეთანხმება მისცეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის შედეგებს. ამასთან აღინიშნა, რომ დასკვნითს აქტს, რომელსაც ხელი მოაწერეს ევროპის 33-მა სახელმწიფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ, ჰელსინკის თათბირმა შედეგებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იწყებს ახალ ეტაპს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე, ევროპის ხალხებს უქმნის მშვიდობის განმტკიცებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის პირობებს.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ განზრახული აქვთ მტკიცედ და თანამიმდევრულად იღვწოდნენ დასკვნითს აქტში გამოცხადებული ყველა პრინციპის განხორციელებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილება, ეკონომიკის დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების გეგმები.

საუბარი გულითად და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

იმავე დღეს გუსტავ ჰუსაკი საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა.

ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებისადმი, ამ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლისა და „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგების შესახებ“ დოკუმენტისადმი მიძღვნილ მიტინგებსა და კრებებზე ჩვენი ქვეყნის მშრომელები მტკიცედ უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ჰელსინკის თათბირი, თქვა მოსკოვის ვოიკოვის სახელობის თუჯსამსზვერო ქარხნის კოლექტივის მიტინგზე მეკოპე მ. ი. ოსტაშევამ, ისტორიაში შევა როგორც ევროპის ხალხთა და სახელმწიფოთა მშვიდობისა და მეგობრობის ფორუმი.

საბჭოთა ადამიანების აზრები და მისწრაფებანი გამოთქმული თათბირის შედეგებისადმი მიძღვნილ დოკუმენტში, რომელიც მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, ჩაეწერ მთლიანად და სავსებით ვიწონეთ თათბირის მუშაობის ამ დოკუმენტში მოცემულ მაღალ შეფასებას, თქვეს ორატორებმა. (საკრესის ხაკ.).

ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით მოსკოვიდან ვარშავაში მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინი გააცილეს ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა, თ. დ. კულაკოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ი. ვ. არხიპოვმა, ნ. კ. ბაიბაკოვმა, ვ. ე. დიმშიცმა, მ. ა. ლესეჩკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ე. ტ. ნოვიკოვმა, ზ. ნ. ნურიევმა, ლ. ვ. სმირნოვმა, ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ბ. ფ. ბრატჩენკომ, ნ. ს. პატოლიჩევმა, ვ. დ. შეშინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა მ. ს. სმირტიუკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმენებული სსრ კავშირში ვლადისლავ ნაპერალა.

• • •

იმავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ვარშავაში ჩავიდა.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ოკენეცკის აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინს დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. იაროშევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. შიდლიკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ტეიპმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო საბჭოთა კავშირის დროებითი საქმეთა რწმენებული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ი. რაგულინი.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივდა პოლონეთის ჯარის მეომართა საპატიო ყარაული და შესრულდა ორი მოძმე ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

დედაქალაქში ჩამოსულისას ა. ნ. კოსიგინი მივიდა გამარჯვების მოედანზე, სადაც ვეინგვერნით შეიმკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი. წუთიერი დუმილით მან პატივი სცა დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერა ვარშავა.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲐᲚᲝᲨᲘ



ᲛᲔᲠᲜᲔᲑᲐ ᲢᲝᲥᲢᲝᲒᲣᲚᲘᲡ ᲰᲔᲡᲘ

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲨᲘ ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის — ტოქტოგულის ჰესის მშენებლები სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგნენ. გადაწყდა მიმდინარე წლის დამლევისათვის დაამთავრონ ჰიდროკვანძის მაღლივი კაშხალის აგება და მესამე და მეოთხე აგრეგატების მონტაჟი. სადგურის პირველი ორი ენერგობლოკი, რომელთა ხიმძლავრე თვითეულისა 300 ათასი კილოვატია, უკვე იძლევა დენს. ნარინზე აგებული ჰიდროსადგური ხაირიგაციო-ენერგეტიკული ობიექტია. ტოქტოგულის შექმნილი წყალსაცავი, რომლის მოცულობა 19 მილიარდი კუბური მეტრი წყალია, უზრუნველყოფს 800 ათასი ჰექტარი ხარწყავი მიწების გარანტირებულ მორწყვას და შესაძლებელს გახდის კიდევ 400 ათას ჰექტარზე მეტის ათვისებას.

ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანმა ხაზმა, რომელიც ნავარაუდევია 500 კილოვოლტი ძაბვისათვის, ჰიდროსადგურის დენი მისცა ფერგანის დაბლობს. ტრახის ნაწილი მთის ქედებზე გადის.

ჰიდროშენებელთა დაბა ყარა-კულში არის ფრუნზეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი — სალამოს საერთოტექნიკური ფაკულტეტი. მისმა 800-მდე კურსდამთავრებულმა მშენებლობის სპეციალისტთა რაზმის კარგი შევსება შეადგინა. ახლა ფაკულტეტზე 300-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — ელექტრობიდი ლეპ-500; ინსტიტუტის სტუდენტი, ძირითად ნაგებობათა სამმართველოს მოტორისტი მირა ოეზოვა.

Ა. ᲞᲝᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡᲐ და **Მ. ᲨᲚᲐᲨᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ** ფოტო.
(საკრესის ფოტოკრონიკა).

პარტიული ცხოვრება

მომთხოვნელობა

ჩვენი პარტია, მთელი ქვეყანა ცხოვრობენ სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების ნიშნით. საბჭოთა ადამიანების ფიქრები და საქმეები დღეს მიპყრობილია იმაზე, რომ ღირსეულად შეეხვდეთ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დამამთავრებელი წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

აი რამდენიმე ციფრი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ძრეწველობის მუშაობას ახასიათებენ. წლის პირველ ნახევარში პროდუქციის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაღიდდა 10,5 პროცენტით. გეგმის ვადაჭარბებით გამოშვებულია 100 მილიონი მანეთის პროდუქცია, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, სხვა მაჩვენებლები. აღმავლობა იგრძნობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

წარმატებანი, უნდა ითქვას, არის, ისინი თვალსაჩინოა, გვახარებენ, შთაგვაგონებენ. ვაკვლებთ რა თვალს სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ წლებს, ვაანალიზებთ შედეგებს, ჩვენ სულ უფრო ღრმად გვაქვს შეგნებული, თუ რა ნაყოფიერი გახდა პარტიული ორგანიზაციებისათვის ეს პერიოდი. მან ბევრი რამ გვასწავლა, გაგვამდიდრა დიდი და მრავალფეროვანი გამოცდილებით, მოგვამზადა ახალი, მორიგი ხუთწლედის კიდევ უფრო რთული ამოცანების გადასაწყვეტად.

საგნებით ცხადია, რომ ჩვენი მიღწევები ორგანულად უკავშირდება საქმიანობის, ამხანაგური ურთიერთგაგების, ადამიანებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულების და ამასთან მაღალი მომთხოვნელობის, პრინციპულობის ვითარებას. ეს ვითარება, რა თქმა უნდა, კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ.

„ჩვენს წინაშე მდგომი უზარმაზარი მასშტაბისა და რთული პრობლემები სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კადრებს, — თქვა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — თანამედროვე პირობებში სხვაგვარ მომთხოვნელობას უნდა იჩენდეს საკუთარი თავისადმი, თავისი საქმიანობისადმი საზოგადოების თვითეული წევრი, ჩარხთან იდგეს იგი თუ კომბაინის საჭესთან, სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა თუ სამინისტროს ხელმძღვანელობს“.

ამ ჭეშმარიტების სამართლიანობაში ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები განსაკუთრებით დარწმუნდნენ „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების მსვლელობაში. დოკუმენტი, რომელსაც ჭეშმარიტად საეტაპო მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის სრულყოფისათვის, მთელი თავისი სულისკვეთებით ემსახურება მომთხოვნელობის ისეთი დონის დამკვიდრებას, რომელიც შეესაბამება დროის მაღალ კრიტერიუმებს.

თუ რა ხდებოდა კადრებისადმი მომთხოვნელობის შენელების შედეგად, ჩანს თბილისის საქალაქო კომიტეტის მაგალითით. გულარხეინობამ და მიღწეულით დაკმაყოფილებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების განვითარებას. ქალაქის პარტორგანიზაციებში ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს სამეურნეო ხელმძღვანელობაში, საქმისადმი დამოკიდებულებაში, მუშაკთა ქცევაში, რასაც არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მათს აღზრდაზეც, ეკონომიურ შედეგებეც. საჭირო გახდა სერიოზული ღონისძიებანი ვითარების შესაცვლელად.

ხელმძღვანელობდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემული შენიშვნებითა და მითითებებით და საფუძვლად დაუდო რა ისინი მუშაობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ღრმად გააანალიზა მდგომარეობა რესპუბლიკის სამეურნეო და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. გამოირკვა, რომ მუშაკებისადმი მომთხოვნელობის შესუსტებასთან დაკავშირებული ანალოგიური ნაკლოვანებანი მარტო თბილისში როდი იყო. კადრების შერჩევისა და აღზრდის პარტიული პრინციპების დარღვევა მთელ რიგ ადგილებში წარმოშობდა ყოყოჩობას, თვითდამშვიდებას, პროტექციონიზმს, კუთხურობას, რის შედეგადაც დავთმეთ მოწინავე პოზიციები ბევრი ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლედის დამდეგისათვის რესპუბლიკა ჩამორჩებოდა დასახულ ტემპებს, როგორც სამრეწველო პროდუქციის მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ისე მეცხოველეობის განვითარებით...

დიდი მუშაობა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საქმის გაუმჯობესებისათვის უწინარეს ყოვლისა ნიშნავდა ურთიერთმომთხოვნელობის გაძლიერებას ყველა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში. პარტიული მომთხოვნელობა ფართო, მრავალმხრივი ცნებაა. და იგი შეიძლება სხვადასხვანაირადაც გამოვლინდეს. როგორ მოვიქცეთ, მაგალითად, თუ მუშაკი არღვევს დისციპლინას, კეთილსინდისიერად არ ეკიდება თავის მოვალეობას და სწორად არ იქცევა, ხოლო შენიშვნებიდან არ გამოაქვს არავითარი დასკვნა? პარტიამ თავის XXIV ყრილობაზე კვლავ ხაზგასმით აღნიშნა: ჩვენში ხელმძღვანელი პოსტები სამუდამოდ არავის არ ეძლევა. სოციალისტური დისციპლინა ისეთი დისციპლინაა, რომელიც ერთიანია საზოგადოების ყველა წევრისათვის, სავალდებულოა ყველასა და თვითეულისათვის. ამიტომ იძულებული ვიყავით გაგვეახლებინა რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული კომიტეტებისა და უწყებების, მათ შორის პარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტების, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობისა და ზოგიერთი სხვა სამინისტროს ხელმძღვანელობა.

რა თქმა უნდა, ეს უკიდურესი ზომაა, იგი მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ხერხი არა ჭრის. ნაკლოვანებათა გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე უტყუარი საშუალებაა ჩვენს პარტიაში ნაცადი კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდი. იგი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის, მინდობილი საქმის გამო კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ტამბოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“ კვლავ ხაზგასმით აღინიშნა, რომ როგორც ჩვენი მიღწევების, ისე არსებული პრობლემების, ნაკლოვანებების საფუძვლიანი და თვითკრიტიკული ანალიზი შემდგომი წინსვლის საჭირო წანამძღვარია.

ამ ბოლო ხანს საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ასეთი ანალიზის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და პარტიულ კრებებს. უნდა ითქვას, რომ ხშირად მათ პარადული ხასიათი ჰქონდათ. მოხსენებებში ყურადღება ძირითადად ეთმობოდა დადებით მხარეებს, ბევრი გამოსვლა აღსავსე იყო ქებადიდება-თვითანგარიშებითა და პატაკებით მიღწევების შესახებ, ცდილობდნენ შეელამაზებინათ საქმის არასახარბიელო მდგომარეობა.

ახლა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ პლენუმებისა და კრებების ატმოსფერო ჩვენს მეტ წილ პარტიულ ორგანიზაციებში მკვეთრად შეიცვალა. როგორც წესი, ახლა მისთვის დამახასიათებელია გაცილებით მეტი ანალიზი, საქმიანობა, მომთხოვნელობა. რა უზრუნველყოფს და უწყობს ხელს ამ ატმოსფეროს? უწინარეს ყოვლისა ის, რომ შეურიგებელი ომი აქვს გამოცხადებული მლიქვნელობას, მაამებლობას, პირფერობას — ობიექტურობისა და პრინციპულობის უბოროტეს მტრებს, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაძლიერდა ყურადღება კომუნისტთა შენიშვნებისა და წინადადებებისადმი.

გიამბობთ, მაგალითად, თუ როგორ მზადდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლის სრულყოფისა და შესრულების შემოწმების შესახებ. მის მოწვევას წინ უძღოდა დიდი მუშაობა იდგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. სამი თვის მანძილზე რესპუბლიკის პარტიული პრესაში განიხილავდნენ შესრულების კონტროლთან და შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს თემა ფართოდ ეღერდა რადიოს, ტელევიზიის სპეციალურ გადაცემებშიც. პლენუმის მასალების მოსამზადებელმა კომისიამ მიიღო ოთხი ათასამდე წერილი პარტორგანიზაციებისა და ცალკეული კომუნისტებისაგან, რომლებშიც გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებს, წინადადებებს, სურვილებს. ისინი გულდასმით შევისწავლეთ, განვაზოგადეთ, რამაც ხელი შეგვიწყო იმაში, რომ მოხსენება უფრო კონკრეტული და აქტუალური ყოფილიყო. შესაბამისად საქმიანად ჩაიარა კამათმაც, რომელმაც გამოავლინა პრობლემის ახალი ასპექტები. საგულისხმოა, რომ პლენუმის შედეგების განხილვაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ყოველმა მესამე კომუნისტმა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო შესრულების კანტროლის საქმის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ოპერატიული და საქმიანი რეაქცია კრიტიკაზე წესად იქცა ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში. პარტიის თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტებში, სხვა კომიტეტებში პლენუმისა თუ აქტივის კრებაზე ყოველ კრიტიკულ გამოსვლას ახლა სპეციალური კონტროლი უწესდება. უფრო ყურადღებით ითვალისწინებენ პირველადს ორგანიზაციებში პარტიულ კრებებზე კომიტეტის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსაც. გამოტანილ დასკვნებსა თუ მიღებულ ღონისძიებებს რეგულარულად აცნობენ კომუნისტებს.

პარტიული კომიტეტები ხელს უწყობენ აგრეთვე საქმიანი კრიტიკის განვითარებას საბჭოების სესიებზე, მუშათა და კოლმეურნეთა კრებებზე. დიდი როლი შეასრულა, კერძოდ, რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივში დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, სოფლების ხუცუბნისა და ტყვიავის მშრომელთა მოწოდებების განხილვამ — ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, სანმუშო მართლწესრიგისათვის. მთავარი, რისთვისაც ვიღელწით, — ის არის, რომ თვითეულ კოლექტივში შეიქმნას ნამდვილი პრინციპული დამოკიდებულება, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, კანონების, ჩვენი მორალის ნორმების დიდი პატივისცემა. და აქ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სამართლიანი კრიტიკა აუცილებლად პოულობდეს პარტიულ მხარდაჭერას, რომ კადრები სწორად ეხმაურებოდნენ მას, ვაქაცურად აღიარებდნენ დაშვებულ შეცდომებს, არ აჰყვნენ პატივმოყვარეობას, კი არ იბუტებოდნენ, არამედ შესაბამისი დასკვნები გამოჰქონდეთ.

ამას წინათ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „ეშერის“ ეკონომისტის ე. ზუბკოვას კრიტიკული გამოსვლისადმი არასწორი რეაგირების ფაქტების შესახებ. მან მეურნეობაში გამოავლინა სოციალისტური კანონიერების, ფინანსური და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევები. იმის ნაცვლად, რომ დირექციას რამე ეღონა ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მან სამუშაოდან დაითხოვა ეკონომისტი. საოლქო კომიტეტის ბიურომ მკაცრად მოჰკითხა კრიტიკის ჩამხშობთ, სამაგალითოდ დასაჯა ისინი.

სამწუხაროდ, კრიტიკისადმი არასწორი დამოკიდებულების შემთხვევები ჯერ კიდევ აბის. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა, მაგალითად, საბჭოთა კავშირის სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკულ კულტურათა დასამუშავებელი მანქანების სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის საქმიანობაზე. კრიტიკისადმი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის შ. კერესელიძის არაჯანსაღმა, არაპარტიულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია სერიოზული ჩავარდნები და ხარვეზები კოლექტივის მუშაობაში, რომელიც მეჩაიეობისა და სამთო მიწათმოქმედების ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს უნდა წყვეტდეს. არანორმალური ვითარება შეიქმნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციული ფუნქციების ინსტიტუტში, რაც იმის შედეგი გახდა, რომ ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა, და კერძოდ მისი ყოფილი დირექტორი დ. ციციშვილი გაყოყოჩდა და უგულებელყოფდა კრიტიკას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ასრულებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, ყველა პარტორგანიზაციას გეზს აძლევს გააძლიერონ ბრძოლა ასეთი მოვლენების წინააღმდეგ. იმათ, ვინც კრიტიკას აზშობს, დევნის კრიტიკული გამოსვლებისათვის, მკაცრ პარტიულ პასუხს სთხოვენ და შეიძლება გაირიცხონ კიდეც პარტიიდან.

კრიტიკა ბასრი იარაღია, და იგი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ. შეუწყნარებელია პრინციპული კრიტიკის შეცვლა ხელოვნური დემაგოგიით, რომელიც არცთუ იშვიათად ნამდვილი ცილისწამების სახეს იღებს ხოლმე. ამასაც უნდა ვებრძოლოთ და არავის არ უნდა მივცეთ იმის ნება, რომ ჩვენს დემოკრატიას ანგარების მიზნით იყენებდეს.

თავის დროზე საჩხერისა და თერჯოლის რაიონებიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ანონიმური წერილების ნაკადი მოდიოდა. როცა დეტალურად გავერკვეთ, დავასკვენით, რომ საქმე გიაქვს ღვარძლიან ცილისმწამებლებთან, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ამ რაიონების ახალმა ხელმძღვანელობამ უკომპრომისო ბრძოლა გაიჩაღა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არავის არ მისცა ნება ჩირქი მოეცხოთ პატიოსანი მუშაკებისათვის.

დღეს სრული რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომთხოვნელობის გაღიდება კეთილნაყოფიერ შედეგებს იძლევა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, თითქოს ჩვენში უკვე ყველაფერი რიგზე იყოს. ნაკლოვანებები გვაქვს, ვხედავთ, და მათ წინააღმდეგ ახალ და ახალ ღონისძიებებს ვხმარობთ. ამას მოწმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი გადაწყვეტილება პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ახლა დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები მზადდება, რომ ვებრძოლოთ დრომოჭმულ ტრადიციებსა და წესჩვეულებებს, ბიუროკრატიზმს, რომელიც ეწინააღმდეგება ხელმძღვანელობის ჭეშმარიტად პარტიულ სტილს და საგრძნობლად ვნებს საქმეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

ნეგატიური მოვლენების საბოლოო დაძლევისათვის კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა ფორმა და საშუალება. კიდევ უკეთ უნდა ჩავაბათ ამ მუშაობაში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. დიდია სახალხო კონტროლის ორგანოების როლი, რომლებმაც კიდევ უფრო აქტიურად უნდა გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა, ამასთან გაითვალისწინონ დროის მოთხოვნები, უფრო ყურადღებით მოეკიდონ მშრომელთა სიგნალებს.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის გაძლიერებისათვის უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ისეთი ნაცადი საშუალებანიც, როგორიც არის პრესა, ტელევიზია, რადიო. ჩვენს მუშაობაში მნიშვნელოვანი საყრდენი გახდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან შექმნილი საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და ჩამოყალიბების პრობლემათა საბჭო. მის საქმიანობაში ჩაბმული არიან მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები. საბჭო ხელს შეუწყობს გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ სოციოლოგიურ კვლევას, დაეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს, რომ თავიანთ მუშაობაში უფრო ღრმად გაითვალისწინონ მშრომელთა აზრი.

წინ ბევრი საქმე გველის. რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ისწრაფვიან, რომ პარტიის XXV ყრილობისათვის რაც შეიძლება სრულად განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ხუთწლედის დამლევისათვის არის გათვალისწინებული „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიხედვით, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ფართო პერსპექტივებს სახავს. შრომითმა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 200 მილიონი მანეთის სამრეწველო და 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. დიდი ამოცანები დგას მშენებელთა წინაშე. წლეულს უნდა დამთავრდეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მეორე რიგის, ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის, თბილისის, გორისა და ბზიფის დიდი სახლთსამშენებლო კომბინატების მშენებლობა. ბევრ დიდ საწარმოში უნდა ამოქმედდეს ახალი სიმძლავრეები. დაჩქარებული ტემპებით განხორციელდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პროგრამა.

რაც უფრო მეტია მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი, მით უფრო მეტია ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის გარანტია.

ე. შევარდნაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

„პრავდა“ 10/VIII, 75 წ.

ელექტრონიკული მრეწველობისათვის

მბილისის „ელექტროიზოლატორ“ ქარხნის კოლექტივი ხაბჭოთა კავშირისა და ხალხვარგარეთის ქვეყნების 800 საწარმოს უგზავნის თავის პროდუქციას. ამ პროდუქციის მეოთხედს მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, დანარჩენს ხარისხის უმაღლესი კატეგორია აქვს. ხაიზოლაციო მასალებს ფართოდ იყენებენ მრავალრიცხოვანი შემკეთებლები, რომელთა შორის არის დიდი საწარმოები: მოსკოვის „დინამოს“ ქარხანა, ლენინგრადის საწარმოო გაერთიანება „ელექტროხელა“ და ბევრი სხვა. ქარხანაში დიდი ყურადღება ეთმობა ახალი ტექნიკის დანერგვას. აგონგატების საპროექტო სიმძლავრეთა ვადამდე ათვისებას, მოწყობილობის რემონტის ვადების შემცირებას, მოდერნიზაციას. სურათზე: კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ფუფუნა ჯანაძე (მარცხნივ) და ბრიგადის წევრი ნატალია გვრიტიშვილი ამოწმებენ ამოწმებენ ახალ ნაწარმოებს ხარისხს.

ვ. მორბენოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალგაზრდობის აღზრდას მიეძღვნა

„საზოგადოება, წარმოება, კანონი და ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ — ამ თემას მიეძღვნა თეორიული კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა პარტიის წულუკიძის რაიკომის სხდომათა დარბაზში. იგი მოაწყეს პარტიის წულუკიძის რაიკომმა, საზოგადოება „ცოდნა“ რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამართლის პროპაგანდის მეთოდურმა საბჭომ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს დოკლადი ა. კოკაისა მოხსენება თემაზე „ახალი ადამიანის ფორმირება კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, პროფესორ ნ. ლომძინის — „ბუნება, ადამიანი, კანონი“, დოკლადი გ. გურგენიძისა—„აღრიცხვა და კონტროლი სოციალისტურ საზოგადოებაში“ და რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ა. ზამბახიძის მოხსენება თემაზე — „ახალგაზრდობა და კანონი“. სიტყვებით გამოვიდნენ ავრეთვე პარტიის წულუკიძის რაიკომის მტატგარეშე ლექტორები.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კურცხალიამ.

ბ. ბეგუნაძე.

მსჯელობენ არქივის მუშაკები

თელავი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების არქივის მუშაკთა ზონალური თათბირი.

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის ვ. კაჭარავას მოხსენება — „საქართველოს საარქივო დაწესებულებები მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პასუხსაგები ამოცანების წინაშე“.

მოხსენების შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ ხაქართველოს სსრ არქივის თელავის ფილიალის დირექტორი ვ. ყრუაშვილი, სამხრეთ ოსეთის საარქივო განყოფილების უფროსი ა. ქუმარტოვი, ბოლნისის ფილიალის დირექტორი ს. ჯინჭარაძე, ფოთის ფილიალის დირექტორი ვ. ლანიაშვილი, ხიდნადის ფილიალის დირექტორი ვ. ლეკაშვილი, საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი ვ. გურგენიძე, საქართველოს სსრ მთავარარქივის უფროსი ინსპექტორი გ. თავაძე და სხვები.

„საქართველოს აგიტატორი“ № 15

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი — მეთხუთმეტე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება სარედაქციო სტატიით — სკკპ XXV ყრილობას ღირსეულად რომ შეეხვდეთ; აქვეა გამოქვეყნებული: ხ. ბიწკინაშვილი — აგიტატორი და დამამთავრებელი წელი; კ. დოლიძე — მუშაობის ხარისხის ამაღლება. როგორ აღწევენ მას? მ. მეზვრიშვილი — რაიკომის პოლიტმომხსენებლები — მასების შუაგულში: ა. ქემაშვილი — კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები — ხუთწლედის მხარდამჭერ; ხ. ხვიტანი — ასე ვაწყობთ შეჯიბრების ორგანიზაციას; ვ. ღვინჭილია — ქართველ მეშახტეთა ახალი პორიზონტები; ვ. ბოგდანოვსკი — სამშობლოს სამეგდო ფრთები; ვ. ციციშვილი — ჩვენი სიტყვა მშრომელებს; ნ. კილასონია — ავანგარდში არიან კომუნისტები: ა. ახანიძე — სამშობლოს სვეტედის მოზიარე; ხ. ცინცაძე — რა ხდება ინდოეთში და სხვა საინტერესო მასალები.



4. შრომაც საგანგებო

ასე იცავენ გვალვისაგან ვენახებს

ეტად საინტერესო სანახავია, როცა ვაგონ-ცისტერნებიდან გადმოდენილი წყალი ვენახის მწკრივებში მიჩუხჩუხებს. მზით გაფიცებულ ჯულს ულობის და უგრილებს დედამიწას. ვახსაც ხომ ეს უნდა!..

თითქოს საგანგებოდ, ვენახებიც რკინიგზის დაღმაა გალაგებული. წყალი თვითდინებით მიდის. იხსნება წყლის ონკანები და ასე ერთი ყიკინა, შეძახილები: ეჰეთ გადაუგდეთ! აქეთ მოეშველინეთ!..

ეს სურათი სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ვენახში ვნახეთ—ბრწყინვალად ცეცხლივით ბიეკი შეურჩევიათ: მიხეილ და ალექსი ლაზარაშვილები, ილია ნასყიდაშვილი, იოსებ ქოქაშვილი, შალვა ბალაშვილი... მევენახე ბრიგადირები ალექსი ბალაშვილი და ანგურ ხუნაშვილი მათთან ერთად ფეხშიშველნი გადარბიან კვალიდან კვალში, წყალს უმარჯვებენ ვაზებს; ცდილობენ არც ერთი არ დარჩეს უწყლოდ. მათ ყველა სამეგობრო ხელს უმართავენ, ეხმარებიან მეელმავლეები: მიხეილ აბრამიშვილი, ალექსი ემელიანოვი, ავთანდილ ფურცელაძე. მთაც სიამოვნებთ, მწყურვალ ვახს, შვილივით ნაზარდ ვაზს ცივ წყალს რომ ასმევენ.

ვიღაცამ ჩაილაპარაკა: არგებს კი ეს წყალი?

ეტყობოდა, მას არაფერი კავშირი ჰქონდა სოფელთან, ვაზთან.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მერაბ ბუნაშვილი მოუბრუნდა.

— რა თქვი, შენ? არგებსო? აბა წამოდი და გუშინდელი მორწყული ვენახი ნახე. როგორც დღე და ღამე, ისე განსხვავდება. ხვალ იქ კულტივაციას ნავატარებთ, ზედაპირს გავუფხვიერებთ და ეგ წყალი რთველამდე ეყოფა ამ კოლმეურნეობას ასზე მეტი ჰექტარი ვენახი აქვს მოსარწყავი: ამდენივე ბოდბისხევის კოლმეურნეობას, შემდეგ კი წითელწყაროს რაიონის ვენახები იწყება.

ყველაფერი ანგარიშით არის... მარტო ვაგონ-ცისტერნები ევრ ასწრებენ მორწყვას. საჭიროა კიდევ რაღაც სხვა ღონისძიება.

ძიება, იდეა თან ახლავს შრომას, ენთუზიაზმს. და აი დაიბადა კიდეც. გვალვის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისიის წევრებმა, სიღნაღის რაიონის წარმომადგენლებთან ერთად, გადაწყვიტეს კაჭრეთიდან, კერძოდ, „ლაკის ხევიდან“ წყალი სასწრაფოდ გადატუმბონ პირდაპირ ვენახებში.

საჭიროა მძლავრი წყალსატუმბავი. იგი სწრაფად მოაწყო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წნორის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ, მისი უფროსის ანზორ ბუსერიძის ხელმძღვანელობით. ამ დღიდან ის ერთი წუთითაც არ მოსცილებია საქმეს. საქმეც ოპერატიულად, სწრაფად მიდის. გადვალისწინებული 12 კილომეტრიდან უკვე 6 კილომეტრზეა დაფენილი მილები.

— ასე უნდა, როცა შეელაა ხეჭიროს!.

უკანასკნელი ცნობებით, რაიონში 7.900 ჰექტარი მიწა მოირწყა, მათ შორის 1.577 ჰექტარი ვენახი. მარტო სტაციონარული წყალსატუმბავი დანადგარებისა და არხების საშუალებით დღეში 60-70 ჰექტარი ვენახი და მინდორი ირწყვება, 70-75 წყლით სავსე ვაგონ-ცისტერნა იცლება.

საგანგებო მდგომარეობას, მართლაც რომ შრომაც საგანგებო დაუპირისპირეს ბრძოლა რესპუბლიკური კომისიის წევრებმა, რაიონის პარტიულმა და სამეურნეო აქტივმა, კოლმეურნეებმა, რაინდგზელებმა თუ მძღოლებმა.

ვლ. მეფლიშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

5. გვალვას მთებზეც ებრძვიან

ფალკელთა საგანგებო ზომები კარტოფილის ნათესების გადასარჩენად

ცისტერნიანი ავტომანქანების ნაკადი მთებში... რა მოხდა? იქნებ რაიმე მშენებლობაა გაჩაღებული ამ ამაღლებულ ადგილებში?

არა! ყოველ ზაფხულობით წალკელთა პირუტყვი აქ ამყოფება. საამისოდ კი დიდებული პირობებია: ნაყოფიერ საკვებთან ერთად მოჩუხჩუხებს ანკარა წყაროები, რომლებიც შემდეგ პატარა-პატარა მდინარეებად იქცევა.

და აი მოხდა ის, რაც არასოდეს არ მომხდარა. დაშრა წყარო, გაქრა მდინარე, გასაჭირში ჩავარდა პირუტყვი.

— ყოველდღე წყლით სავსე ოთხი ცისტერნა მთებში! — ოპერატიულად მიიღო გადაწყვეტილება გვალვის წინააღმდეგ მებრძოლმა რაიონულმა შტაბმა.. ჯარუტყვი კვლავ ლაღად კრძნობს თავს, საშიშროება თავიდან არის აცილებული.

ორ თვეზე მეტია, რაც წვიმა არ მოსულა წალკაში. ასეთი რამ არ ახსოვს რაიონს, არც 27-28 გრადუსი ჰაერის ტემპერატურა ახსოვთ მათ. თითქოსდა დიდი სიცხე არ უნდა იყოს, მაგრამ წალკის პირობებისათვის წარმოუდგენელია — ამბობენ აქაურები.

...და მაინც მთავარი პრობლემა დღეს წალკისათვის კარტოფილის ნათესების გადარჩენაა. გეგმა-ვალდებულებით რაიონმა სახელმწიფოს 22 ათასი ტონა კარტოფილი უნდა მიჰყიდოს. ეს რთული ამოცანაა თუნდაც ჯერი კლიმატური პირობების დროს. ახლა კი...

3,200 ჰექტარზეა გაშენებული წალკური კარტოფილის ნათესები. აქედან სარწყავი მხოლოდ 750 ჰექტარია. დანარჩენი ნამდვილად რომ საფრთხის წინაშეა.

მაგრამ რაიონმა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევითა და დახმარებით შეიმუშავა გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერატიული გეგმა. ოპერეულს ყოველისა, გადაწყდა ხელოვნურად მოირწყას კიდევ 1.000 ჰექტარი კარტოფილის ნათესი.

გამოიძებნა და ამოქმედდა დამატებითი რეზერვები, თოთხმეტ სარწყავ აგრეგატს კიდევ რა დაუმატეს, რომელიც რაიონს სასწრაფოდ გამოუყო „საქმოფლტექნიკამ“ სარწყავად მთლიანად გამოიყენეს მდინარე ხრამი რომელზეც დაიჭრა წალის საქმი დანადგარების მოწყობა მარტო ამით 400 ჰექტარი ფართობი არწყვება. რაციონალურად იყენებენ ხელოვნური დაწვიმების სისტემასაც. ამ მეთოდით 20 წლეულს 100-120 ჰექტარი მიწა ირიგირდებ ბულს.

ხელოვნური რწყვის საგანგებო ზომებს რაიონში ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ატარებს, მაგრამ ამ მხრივ ანსაკუთრებით აღსანიშნავია წალკის რაკრეაციონალური, ავრალოს, ციშიისა და ედიქნილისს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ერთსულოვანი მეცადინეობა.

მსოფლიო დღეს

დაძაბულობის შენელების ახალი ეტაპი

ევროპამ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო ხიხლისმდგომარეული ბრძოლების ასპარეზი, რომელმაც გადაიტანა ორი მსოფლიო ომი, ჰელსინკში საჯაროდ გამოაცხადა სახელმწიფოთა ურთიერთობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპები და გამოთქვა სურვილი განავითაროს მათი ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა. ასეთია ძირითადი აზრი, რომელიც გამოთქვეს თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა საკადრისის კორესპონდენტთან შეკითხვებზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სრულად ევროპის თათბირს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იუზეფ ოზგა-მიხალსკი:

ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის ხელმოწერის შემდეგ, რომელმაც დაადასტურა ევროპაში საზღვრების შეუვალობა, ნვენს კონტინენტზე დადგა ხვალინდელი დღე. როგორც იქნა ევროპაში მოვიდა ის, რასაც შეუძლია პოლიტიკის სხეული გადაქცეოს მის სულად, წარმოშვას რწმენა, რომ მშვიდობა და ჩვენი პლანეტა ერთნი არიან. ამისათვის, როგორც ხაზგასმით აღნიშნა თავის სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა, საჭიროა დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია, რაც შეადგენს ყოველივე იმის არსს, რამაც ევროპის მშვიდობა ნამდვილად მტკიცე და ურყევი უნდა გახადოს.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი როლანდ ლეროუა:

სრულიად ევროპის უმაღლესი დონის შეხვედრის წარმატებით დამთავრებამ დიდი ქმაყოფილება მიანიჭა ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და უშიშროება ჩვენს პლანეტაზე. თათბირის დადებითი შედეგები ხელს შეუწყობენ ახალ პროგრესს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე პაინრიხ ჰომანი:

გადაიდგა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე. ჰელსინკის თათბირმა ახალი ჰორიზონტები დაუსახა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას. ახლა საჭიროა განვამტკიცოთ მიღწეული შედეგები, შეუქცევადი გავხადოთ დაძაბულობის შენელების პროცესი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი ტენდენციი გახდა.

პაკისტანის სენატის თავმჯდომარე ჰაბიბულა ხანი:

ეს თათბირი უდავოდ უდიდესი წვლილია მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების საქმეში. მის სასიკეთო შედეგებს ახლო მომავალში იგრძნობენ ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანა, ყველა ხალხი.

ყველაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ ჰელსინკში, მისი სიტყვა ფრიად აქტუალურია, რამდენადაც ეხება საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო პრობლემებს.

დიდი ბრიტანეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი ფილი ოუჟლი:

ჰელსინკში ხელმოწერილი დასკვნითი აქტი ქმნის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ბრძოლის აქტივიზაციის უდიდეს შესაძლებლობებს.

ჭალაქ ნაგასაკის მერი მორატანი იოსიტაკე:

იაპონელი ხალხი, რომელმაც 30 წლის წინათ გადაიტანა ატომური დაბომბვა, სულითა და გულით მიესალმება სრულიად ევროპის თათბირის შედეგებს, რომელმაც გზა გაუკვალა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

ტელეტაიპის ლენტიდან...

ბუდაპეშტი. 1975 წლის პირველ ნახევარში უნგრეთის მეტალურგიული მრეწველობის წარმოების მოცულობა გაუსული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 6,9 პროცენტით.

ჟენევა. შვეიცარია თანდათან ხდება ნარკოტიკებით საერთაშორისო საკონტროლო-ნდო ვაჭრობის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი, წერს გაზეთი „ტრიბუნ დე ჟენევ“. მარტო ციურიხის აეროპორტში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კონფისკაციულია 18 კილოგრამი ჰეროინუმი.

რომი. იტალიის საკურორტო ქალაქ ისკიის პლაჟებზე აკრძალულია ბანაობა. ქალაქის ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ წყლის გაუუჯეანების დონე უკვე საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.

სინგაპური. იმასთან დაკავშირებით, რომ 9 აგვისტოს აღინიშნება სინგაპურის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 10 წლისთავი, შორეულთა აღმოსავლეთის ფლოტილიის „სოვეტსკაია როსიას“ წარმომადგენლებმა საზღვაო მუზეუმს საჩუქრად გადასცეს მარბუნის ხასრილი ზარბაზანი.

პარიზი. პარიზის ორლის აეროპორტში საბაჟოს მუშაკებმა უკანასკნელი ორი თვის მანძილზე მგზავრთა ბარგის გასინჯვის დროს აღმოაჩინეს 200 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკები.

ბუენოს-აირესი. არგენტინაში გამოაცხადეს უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე ეროვნული ფულის ეროვნული მორიგი, მეოთხე დევალვაცია. 11 აგვისტოდან დადგენილია შემდეგი კურსი: ერთი დოლარი უდრის 42,5 პესოს, უწინ იგი 35,4 პესოს უდრიდა.

კანბერა. მელბურნში „მემანქანე-ავტომატი“ აღმურვილმა ხაჭალაქო ელექტრომატარებელმა უეცრად დაკარგა კონტროლი და შეუერებლივ გაიარა ექვსი სადგური, დაფარა 12 კილომეტრი გზა. მატარებელი, რომელშიც, საბედნიეროდ მგზავრები არ იყვნენ, შეაჩერეს მეშვიდე სადგურის წინ ალმართზე, როცა მისი მოძრაობა შენელდა. გაქანებულ ელექტრომატარებელს შეახტა სადგურის მუშაკი, რომელმაც ჩართო ხელის მუხრუჭები.

უშიშროების ფართო პროცესი

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ აღმასკომის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი სხდომა

ბუქარესტი, (საკდესი). რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასკომი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და მინისტრთა საბჭო ერთობლივ სხდომაზე მიესალმნენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრებას, შეაფასეს იგი როგორც კონტინენტის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც ახალ სულისკვეთებას აქცევდრებს საერთაშორისო ურთიერთობებში და საძირკველს უყრის ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ფართო და ღრმა პროცესს.

ეს ნათქვამია ცნობაში გაერთიანებული სხდომის შესახებ, რომელზეც რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ ინფორმაცია გააკეთა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მესამე ეტაპის თაობაზე.

თათბირის საბოლოო აქტი, აღნიშნულია ცნობაში, შეესაბამება რუმინელი ხალხის, სხვა ევროპელი ხალხების, მთელი მსოფლიოს უშიშროების, თანამშრომლობისა და მშვიდობის საქმის ინტერესებს. ამ დოკუმენტის მიღებით მონაწილე სახელმწიფოებმა საქვეყნოდ დაფეს პირობა, რომ განაგრძობენ დაძაბულობის შენელების კურსს, ყველა რთულ პრობლემას გადაჭრიან მოლაპარაკების გზით, თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდებენ სრული თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის, ძალის გამოყენებასა ან ძალით მუქარაზე უარის თქმის პრინციპებს, უზრუნველყოფენ ევროპაში თანხმობასა და მშვიდობას.

მდგომარეობა კვიპროსში

ნიკოზია. (საკდესი). დაიწყო მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები კვიპროსელი თურქების გადადგილება კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვიპროსელ თურქთა გადაადგილება განხორციელდება იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელსაც ამას წინათ მიაღწიეს ვენაში კვიპროსის საკითხზე მოლაპარაკების მესამე ეტაპზე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ მოქმედების კოორდინაციისა და შეთანხმების ეფექტიანად შესრულების მიზნით შეიქმნა შერეული სამუშაო კომისია.

ჟორტუგალია მოუწოდებენ თანამშრომლობისა და ერთიანობისაკენ

ლისაბონი, (საკდესი). ვასკუ გონსალვეშის თავმჯდომარეობით ახლახან მოპოვებული ლი მთავრობის შექმნა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ახლანდელი კრიზისის მოწესრიგების გზაზე, მაგრამ მას არ მოუყოლია კრიზისის ყველა ასპექტის ლიკვიდაცია, ნათქვამია პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ახლანდელი პირობებში მთავრობის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილი არ არიან პოლიტიკური პარტიები, ნათქვამია განცხადებაში, საჩქარო და აუცილებელი საქმე იყო, რათა სახელმწიფო აპარატის მუშაობა არ მოშლილიყო და გაგრძელებულიყო სახელმწიფოს საქმიანობა უკვე განსახლვრული პროგრესული პოლიტიკის ფარგლებში. მთავრობამ და სამხედრო ძალების მოძრაობის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა შეავსონ ერთმანეთი, და მჭიდროდ ითანამშრომლონ. ახლანდელ ვითარებაში ეს სრულიად აუცილებელი პირობაა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიტიკური ხელისუფლების ეფექტიანობა, ხაზგასმულია შემდეგ განცხადებაში.

კონტრრევოლუციამ ისარგებლა ანტიკომუნისტური კამპანიით, რომელიც სოციალისტური პარტიის ლიდერებმა წამოიწყეს და იერიშზე გადმოვიდა. კონტრრევოლუციის ძალები ძალადობენ, აწყობენ თავდასმებსა და ხანძრებს, სპობენ ქონებას, ბევრ დასახლებულ პუნქტში აუქმებენ დემოკრატიულ თავისუფლებებს, სიძულვილს აღვიძებენ და ხშირად ტერორის ვითარებას ქმნიან. წარმატებით რომ უკუვაგდოთ კონტრრევოლუცია, მთავრობამ, შეიარაღებულმა ძალებმა და ხალხმა საფრთხე ემუქრებოდა ... ქმედონ.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ პორტუგალიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს თანამშრომლობისა და ერთიანობისათვის. კომუნისტებმა ყველგან ყველაფერი უნდა იღონონ, რათა უზრუნველყონ ერთიანობა სოციალისტებთან, ყველა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლებთან, რომ საკადრისი მიუზღან კონტრრევოლუციის ძალებს. პორტუგალიის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშათა კლასს, ხალხის მასებს მეტი სიფხიზლე და ორგანიზებულობა გამოიჩინონ კონტრრევოლუციის მოსაგერიებლად. პორტუგალია მხოლოდ მაშინ შეძლებს წარმატებით განაგრძოს წინსვლა სოციალიზმის გზით, თუ ბოლოს მოვუღებთ კონტრრევოლუციას, დავიცავთ დემოკრატიულ თავისუფლებებს.

რეაქციის გამოცდომა

ლისაბონი. (საკდესი). გუშინ მოხულიგნო ვატიკანების დიდი ჯგუფი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბრაგანში თავს დაესხა პორტუგალიის კომპარტიის ორგანიზაციის შენობას. როგორც ეროვნული საინფორმაციო სააგენტო — ანი იტყობინება, თავდამსხმელთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ იმ მანიფესტაციის მონაწილენი, რომელიც მოაწყვეს კლერიკალურმა წრეებმა კათოლიკური ეკლესიის „დასაცავად“. მეიდლება, წერს გაზეთი „ეორნალ დუ კომერსიუ“, მეგაფონებში გაპყვიროდნენ კომუნისტური პარტიის საწინააღმდეგო ლოზუნგებს, რამაც, როგორც გაზეთი აღნიშნავს, „ბამწვავა ატმოსფერო“ და ფაქტიურად ბიძგი მოწოდება კომპარტიის შენობის დასარბევად. შენობაში მყოფმა კომპარტიის აქტივისტებმა საკადრისი პასუხი გასცეს დამრბევებს. ბრიან დაშავებულნი.

ქალაქში ჩამოსული ჯარის ნაწილის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სალამოსათვის წესრიგი იღდგა. ამჟამად ბრაგაში ვითარება კალპოტში დგება.

ჟორტუგალია კანონით... და სინამდვილეში

ანკარა, (საკდესის კორ.). თურქეთის სენატის წევრმა კოჯაელის ვილაიეთისაგან ფატმა იშმენმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ილაპარაკა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თურქი ქალის როლსა და მდგომარეობაზე ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით.

„თურქ ქალთა წინაშე დასახული პრობლემები, — აღნიშნა მან, — არაფრით არ განსხვავდება იმ პრობლემებისაგან, რომლებსაც ქალები აწყდებიან მრავალ, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. თურქი ქალები ნაკლებ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე მამაკაცები. ქალებს მამაკაცებთან შედარებით ნაკლები შესაძლებლობა აქვთ იშოვონ სამუშაო, დაწინაურდნენ, მიიღონ განათლება. მამაკაცებთან ერთად თანაბარი უფლებები, რომლებიც იურიდიულად აქვთ ქალებს, პრაქტიკულად დღემდე არ განხორციელებული. მაგალითად, კანონის მიხედვით თურქეთში ქალისათვის ხელმისაწვდომია ყველა პროფესია, მფრინავის პროფესიაც კი. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. მოვიყვანთ ასეთი მაგალითს: ჩვენს პარლამენტში 633 დეპუტატი და სენატორია. მათ შორის მხოლოდ ცხრა ქალია. სხვათა შორის, ქალებსა და მამაკაცებს ერთნაირი უფლებები აქვთ აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი.

„არსებული პრობლემების ნამდვილი გადაწყვეტა, — ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ფატმა იშმენმა, — შესაძლებელი იქნება თურქი ქალების ბრძოლის შედეგად, რომლებიც გადალახავენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ფარგლებს და სოციალიზმისაკენ წავლენ“.

სსრკ მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). აქ გრძელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მსოფლიო კონფერენციისათვის სპეციალური კომიტეტის მუშაობა, როგორც მრავალი ქვეყნის წარმომადგენლთა გამოსვლებმა ცხადყვეს საბჭოთა კავშირის ინიციატივას განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის თაობაზე მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმრავლესობა.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი რ. ს. ოვინიკოვი, რომელმაც კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევა ხელს შეუწყობს თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრას — შეწყდეს გამალებული შეიარაღება და განთავისუფლებული რესურსები მოხმარდეს მშვიდობიან განვითარებას. საბჭოთა დელეგაციის რწმენით, დროა დაიწყოს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწყობის მოსამზადებელი მუშაობა. ეს კონფერენცია შეიძლება გაიმართოს უახლოეს მომავალში.

სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ ჩამოყალიბებულ პოზიციას მხარი დაუჭირეს პერუს, ჩეხოსლოვაკიის, ლიბანის, ინდოეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა.

სკკ ჟ. მარშეს პრეს-კონფერენცია

პარიზი, (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ჟ. მარშეს პრეს-კონფერენცია.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია კვლავ აცხადებს, რომ ზხოლოდ მემარცხენე ძალების ერთობლივი სამთავრობო პროგრამის ეფექტიანად და მთლიანად განხორციელება გამოიყვანს ქვეყანას კრიზისიდან, რომელსაც ივი განიცდის, თქვა ჟ. მარშემ.

საფრანგეთის კომპარტია მოუწოდებს მუშათა კლასს, ყველა კატეგორიის მშრომელებს, ქვეყნის მთელ მოსახლეობას გაერთიანებული ღონისძიებებით გაშალონ ბრძოლა ერთობლივი სამთავრობო პროგრამის ოთხი მთავარი დებულების განხორციელებისათვის, როგორიც არის სახალხო და სოციალური მოხმარების გადიდება, ეკონომიური საქმიანობის აქტივიზაცია და დასაქმების უზრუნველყოფა, ეფექტიანი ბრძოლა ინფლაციის წინააღმდეგ, დემოკრატიული რეფორმები, რომელთა მიზანია ბრძოლა მონოპოლიათა სრულხელისუფლებიანობისა და მათი მფლანგველობის წინააღმდეგ.

შემდეგ ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ ახლა საფრანგეთში ფართოდ ჩაღდება სოციალური ბრძოლა. მშრომელთა ბრძოლა, თქვა მან, გამოირჩევა დიდი სიმძაფრით, პოლიტიკური და ტაქტიკური სიმწიფით.

სხვა გაზეთებიდან

ეროზაციაქა

თვალისმომგრელი ფუძის წინააღმდეგ

ბელგიაში დაიწყეს სპეციალური სათვალეების წარმოება მძიმოლებისათვის, რომელებსაც ძირითადად ღიმით უხდებათ მუშაობა. სათვალეში ჩასმულია „პოლიაროიდის“ ტიპის ლინზები, რომელებიც ჩვეულებრივ სინათლეს ატარებს, შემხვედრი მანქანის მუქფარების დამაბრმავებელ სხივებს კი აკავებს.

სად გამოიგონეს ტელეფონი?

ეს საკითხი, რომელიც კანადის პრესის ფურცლებს ალარ შორდება, გადაიზარდა დიპლომატიურ კინფლიქტად კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ამის მიზეზი იყო ახალ ცნობარ „ჩიზპაიპ ენდ პობოდაკ ტელეფონში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, სადაც ლაპარაკი იყო, რომ ტელეფონი თითქოს გამოიგონეს ბოსტონში 1876 წლის 10 მარტს.

კანადელები აღშფოთდნენ. როგორც გაზეთი „ტრესპეს სპიეს მონიტორი“ იუწყება, ვაშინგტონში კანადის საელჩოს პირველმა მდივანმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მოყავდა ბელის სიტყვები, წარმოთქმული 1910 წელს ოტავაში: „მე გამოვიგონე ტელეფონი სწორედ იქ, სადაც ამჟამად ვიმყოფები, — და დაუმატა, რომ ტელეფონით პირველი ლაპარაკი სწორედ ოტავაში გაიმართა, თუმცა მოწყობილობა ბოსტონში იყო დამზადებული.

ელექტრონული მუხრუჭი

მუხრუჭები, რომელებითაც თანამედროვე მანქანებია აღჭურვილი, მთლად სანიმედო როდია. ქალაქ იაბლონეცის (ჩეხოსლოვაკია) მუხრუჭების ქარხანაში დაიწყო სპეციალური ელექტრონული ხელსაწყოს დამუშავება. ამ ხელსაწყოს წარმატებით ჩაბარა გამოცდა ამ შემთხვევისათვის, როცა აუცილებელია ავტომანქანის სწრაფი დამუხრუჭება.

იაბლონეცის ქარხანამ უკვე დაიწყო ელექტრონული მუხრუჭების სერიული გამოშვება.

გასაგერი მაუველი გემი

მეჩეზნეზ შემჯდარი ტანკერები რეალური საშიროებაა, როგორც ზღვისათვის, ისე სანაპოროსათვის. ჩვეულებრივად ნავთს ამოქარავენ ხოლმე პატარა მოცულობის გემებიდან. მაგრამ სიძნელეების გამო. რაც თან სდევს დიდი ტანკერების მაუველ ოპერაციებს, ტვირთის დიდ ნაწილს სპობენ. როგორც გაზეთი „ონდი“ იუწყება, ერთმა ფრანგულმა ფირმამ ამ პრობლემის გადასაწყვეტად შექმნა ორი გასაგერი რეზერვუარისაგან შემდგარი კატამარანი. რომელიც სპეციალური ქსოვილისაგან არის დამზადებული. რეზერვუარში 186 ათასი ლიტრი ნავთი ეტევა. კატამარანის კატასტროფის ადგილზე მიტანა თავისუფლად შეიძლება ვერტმფრენით. რეზერვუარებს შორის თავსდება ბაქანი, რომელზეც დადგმულია ნავთის ამოსაქაჩი ხელსაწყოები. გასაგერი გემი საკმაოდ სწრაფმავალია — იგი საათში 15 კვანძის ხიჩქარით მიცურავს.



ბელგრადი • ზაგრები • ლიუბლიანა

ეროვნული ფულის დევალვაცია

ბანბრა. ველინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ახალი ზელანდიის მთავრობამ გამოაცხადა ახალზელანდიური დოლარის დევალვაცია 15 პროცენტით, როგორც პრესა იტყობინება, დევალვაციის მიზანია გაადვილოთოს ექსპორტი, უმთავრესად სოფლის-მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი. ამავე დროს აღნიშნავენ გაზეთები, დევალვაცია გამოიწვევს იმპორტულ საქონელზე მოთხოვნის გადიდებას, რაც გაგლენას მოახდენს ფასების საერთო ზრდაზე.

ბრძოლა ინფლაციის წინააღმდეგ

1975 წლის თებერვალში სეულელმა დიქტატორმა „რეფერენდუმის“ ფარსი გაითამაშა. ხმების „დათვლის“ შემდეგ პაკ ჯონ ხიმ განაცხადა, რომ უმეტესობამ მხარი დაუჭირა კონსტიტუციას და მის რეჟიმს. სინამდვილეში პოლიციური ტერორის პირობებშიც კი ხმის უფლების



მიზანი: მშვიდობა და თანამშრომლობა

უკანასკნელი წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად იქცა ხელშეკრულება, რომელიც 1970 წელს დაიდო მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელშეკრულებამ ბევრი სასარგებლო ნაყოფი მოუტანა ორივე ქვეყანას. ხელშეკრულების დადებამ ზეგავლენა მოახდინა არა მარტო სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაზე, არამედ მთელი ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც.

მოსკოვის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დასავლეთის ქვეყნებიდან პირველი გახდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო პარტნიორი. განვითარდა ურთიერთობის ახალი ფორმები. ეს არის გრძელვადიანი და ფართო მასშტაბის ხელშეკრულებები და კონტაქტები. მაგალითად, 1974 წელს საქონელბრუნვის გაცვლა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის წინა წელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზარდა.

• • •

სურათზე: სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქონელბრუნვის თითქმის 20 პროცენტი მოდის მეტალურგიული კონცერნის „მანესმენ-ავ“-ის წილად, რომელიც დიდი დიამეტრის მილებს აწარმოებს. 1970 წლის ხელშეკრულების თანახმად ოცი წლის პერიოდში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სსრ კავშირიდან მიიღებს 120 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს.

ხაკდესის ფოტოქრონიკა.

ეკონომიკა

მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად

ტოკიო. (საკდესი) ქალაქ ნაგასაკში (იაპონიის კუნძული) გაიმართა ცერემონია, რომლის დროს ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ძეგლის საძირკველში ჩადეს ატომური დაბომბვის შედეგად იმ დაავადებულთა კიდევ ერთი სია, რომლებიც ამ ბოლო წლის მანძილზე გარდაცვალნენ. სიაში 1.054 გვარია. სულ ძეგლის საძირკველში დევს სიები, რომლებშიც ჩაწერილია ნაგასაკის ატომური ტრაგედიის დადგენილ მსხვერპლთა 48.857 გვარი. ნაგასაკის მცხოვრებლებმა და ქალაქის სტუმრებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმ იაპონელთა ხსოვნას, რომლებიც ნაგასაკში დაიღუპნენ 30 წლის წინათ.

ახალი ზელანდია

დოლარის დევალვაცია

ბანბერა. ველინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ახალი ზელანდიის მთავრობამ გამოაცხადა ახალზელანდიური დოლარის დევალვაცია 15 პროცენტით, როგორც პრესა იტყობინება, დევალვაციის მიზანია გაადვილოთოს ექსპორტი, უმთავრესად სოფლის-მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი. ამავე დროს აღნიშნავენ გაზეთები, დევალვაცია გამოიწვევს იმპორტულ საქონელზე მოთხოვნის გადიდებას, რაც გავლენას მოახდენს ფასების საერთო ზრდაზე.

საერთაშორისო შენიშვნები

დროის მოთხოვნა

ბოგორც ცნობილია, ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს სამხრეთ კორეიდან უცხოელთა ჯარების გაყვანისა და ქვეყნის მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე გაერთიანებისათვის კორეელი ხალხის ერთთვიური. მიტინგებსა და კრებებზე საბჭოთა საზოგადოებრიობა გამოხატავს კორეელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნებისადმი მხარდაჭერას და ამავე დროს პროტესტს აცხადებს სეულის რეჟიმის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთხელ წამოუყენებია კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებშიც დასახული ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთის ნაწილების გაერთიანების იდეა გულისხმობს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ქვეყნის გათიშვის დასაძლევად. ამ წინადადებათა ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კორეის საკითხი გადაწყდეს ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპების საფუძველზე გარეგან ჩაურევლად.

1973 წელს გამოქვეყნებულმა ცნობილმა ხუთმა პუნქტმა დასახა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაძაბულობის შენელებისადმი პრაქტიკული მიდგომა. რაც ხელს შეუწყობდა გადაუწყვეტელი საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას, ხოლო შემდგომში ქვეყნის დემოკრატიულ გაერთიანებას. ისინი ითვალისწინებდნენ: ორივე მხარის მიერ შეიარაღებული ძალების ზრდისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას სამხრეთ კორეიდან, თვითეული მხარის შეიარაღებულ ძალთა შემცირებას 100 ათას კაცამდე, საზღვარგარეთიდან იარაღისა და სამხედრო მასალების შეტანის შეწყვეტას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მშვიდობიანი შეთანხმების დადებას. სამხრეთ კორეაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფედერაციად გაერთიანების შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში არსებული პოლიტიკური სისტემების შენარჩუნების საფუძველზე.

კორეის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანების საკითხში სახალხო-დემოკრატიული კორეის პოზიციამ სამხრეთ კორეის პროგრესული საზოგადოებრიობის ფართო დაინტერესება გამოიწვია. მაგრამ ყოველივე ეს ხელს არ აძლევს სეულელ დიქტატორს პაკ ჯონ ხის. ოპოზიციურად განწყობილ ძალებს რომ გასწორებოდა, მან „საგანგებო წესები“ გამოაცხადა, დაითხოვა სამხრეთ კორეის ეროვნული კრება და შემოიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც სამხრეთ კორეელ მმართველს თვითმპყრობელურ რწმუნებებს ანიჭებს.

1975 წლის თებერვალში სეულელმა დიქტატორმა „რეფერენდუმის“ ფარსი გაითამაშა. ხმების „დათვლის“ შემდეგ პაკ ჯონ ხიმ განაცხადა, რომ უმეტესობამ მხარი დაუჭირა კონსტიტუციას და მის რეჟიმს. სინამდვილეში პოლიციური ტერორის პირობებშიც კი ხმის უფლების

გაერთიანება მშვიდობიან, დემოკრატიულ საწყისებზე

მქონე სამ მილიონზე მეტი სამხრეთკორეელი პაკ ჯონ ხის რეჟიმის ანტიხალხური პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის ნიშნად საარჩევნო ყუთებთან არ გამოცხადდა. სამ მილიონ ნახევარზე მეტმა ამომრჩეველმა, რაც „რეფერენდუმში“ მონაწილეთა მეოთხედს შეადგენს, რეფერენდუმის წინააღმდეგ მისცა ხმა. ამან კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სამხრეთ კორეაში შეუფლებას, სამხრეთ კორეაში დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებას.

მაგრამ დემოკრატიულ ძალთა მოთხოვნების პასუხად სეულის რეჟიმი სულ უფრო მეტად უმერს მარწუხებს. პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ნულამდეა დაყვანილი. ბევრი არასასურველი მოღვაწე საპყრობილეში ჩაყარეს. იქმნა ოპოზიციურ ძალთა ფრონტი, რომელიც პაკ ჯონ ხის წინააღმდეგ გამოდის. მუშათა კლასის, ინტელიგენციის, ზოგიერთი საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა, ღვთისმსახურნი მოთხოვენ პოლიციური ტერორის შეწყვეტას, პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას, სამხრეთ კორეაში დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებას.

საერთაშორისო შენიშვნები

... ...

ბოლოს ... ...

ბიბლიოთეკა 90 წლისაა

90 წლის იუბილე გადაიხადა ამას წინათ თელავის ცენტრალურმა რაიონულმა ბიბლიოთეკამ.

ბიბლიოთეკაში ქართულ და რუსულ ენებზე აქვთ პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერულ-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის 42 ათასზე მეტი ტომი. 1972 წლიდან იგი ცენტრალიზებული მეთოდით მუშაობს.

თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მისი მრავალრიცხოვანი ფილიალების მომსახურებით ათეულათასობით მკითხველი სარგებლობს.



ხურათებზე: ბიბლიოთეკარი ნინო ცვალაძეშვილი; თელავის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის საპკითხველო დარბაზში.

ი. დავითაშვილისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„საისტორიო მოამბე“

გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს პერიოდული ჟურნალის „საისტორიო მოამბის“ მორიგი გაერთიანებული ტომი (31–32), რომელიც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სსოფნას.

ტომში მოთავსებულია შემდეგი დოკუმენტური პუბლიკაციები და გამოკვლევები: „სამშობლოს დიდი მოამაგე“ (შ. ჩხეტია), „ალექსანდრე სახანაშვილი“ (შ. გოზალიშვილი), „თედო სახოკია“ (თინა სახოკია), „გიორგი შარვაშიძე“ (ხ. ლეკიშვილი), „იოსებ გედევანიშვილი“ (ლ. ნანიკაშვილი), „მუშათა კლასი თბილისის გუბერნიაში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში“ (ა. ვაშაკიძე), ტომის პასუხისმგებელი რედაქტორია ვ. კაკურავა. ფასი 2 მანეთი.

რაც თვალს არ გამოეპარა

რკინიგზის სადგური უსაათოდ?

რკინიგზის ბორჯომის სადგურში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. აქ შესვდებოდით ჩვენი დიადი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულ დამსვენებლებს.

მგზავრები ელოდებოდნენ მატარებლის გასვლას. და აი გაისმა დიქტორის ხმა: ყურადღება, ყურადღება, თბილისი-ბორჯომის მატარებელში ჩასხდომა გრძელდება, მგზავრებს ვთხოვთ დაიკავონ ადგილები. მატარებლის გასვლამდე 10 წუთი დარჩა.

სადგურის ბაქანზე საათი შეეთვალეთერა, მაგრამ ამაოდ. იგი აქ ჯერ არავის უნახავს. სადგურის მორიგესთან მივედი: საათი არა გაქვთ? — ჯერთხე მას.

— დღიდან ამ სადგურის აშენებისა, საათი არა გვაქვს, ამის გამო ხშირად დიდ უხერხულობას ვაწყდებით, თქვა მორიგემ, — რკინიგზის სამმართველოს მუშაკებს რამდენჯერმე მივმართეთ. მაგრამ მხოლოდ დაპირებას იძლევიან, საათი კი არსად ჩანს. ასე შერცხვენილები ვართ მგზავრების წინაშე.

სადგურს გარეგნულ ხილამაზეს ვერ დაუწუნებთ. ბაქანზე მოზაიკის ფილებია დაგებული, ჩანს, ზოგიერთ ადგილას მშენებლებს ცემენტი „ბევრი“ მოსწლიათ და ფილებზე ფეხს რომ დაადგამთ, როგორც ხმელი კაკალი, ისე ჩხრიალებს, ბევრიც დამტვრეულია. სახურავიც უხეიროდ არის გაკეთებული, მთელ რიგ ადგილებში წვიმის დროს ჩამოსულ წყალს კედლები და ჭერი დაუზიანებია. ეს სადგური „ზაკხტრანსტროის“ (უფროსი შ. მალაღურაძე) № 815 მოძრავ სამშენებლო-სამონტაჟო მატარიელის კოლექტივის მიერ არის აშენებული.

შევნიშნეთ კიდევ ერთი უხერხულობა. ტუალეტს არც წარწერა აქვს და არც მიმართულების მაჩვენებელი. ხადგურის მორიგემ თავი იმარლა: — იყო, ჩამოვარდა და მიმაგრება ვეღარ მოვახერხეთო.

ვფიქრობთ, სადგურის მესვეურთა უდარდელობას კომენტარი აღარ სჭირდება.

ზ. ჯამასპიშვილი.

...9 აგვისტო. როგორც ყოველ წელიწადს, წელეულსაც დილადრიანად აიესო ხალხით ჩარგლურას ჭალის მიდამოები. ქართველი ხალხის ტრადიციულ დღესასწაულზე — ვაჟკაცობაზე მოვიდნენ ფუშეთის რაიონის მშრომელები, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული სტუმრები.

დღის პირველი საათია. საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ფუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გამრეკელმა. ვაჟაფშაველას ძვირფას პოეტურ მემკვიდრეობაზე ილაპარაკა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა.

სიტყვები წარმოთქვეს და ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს: გამოშცემლობა „განათლების“ დირექტორმა, პოეტმა ხ. ბერულავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. ლომაშვილმა, ნელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჯაფარიძემ, ი. გოგოლაურმა, ივ. ხოსნაულმა, შ. ხოდაშვილმა, ჯ. კასრადემ, ი. ქართველიშვილმა, ვ. ხულთანშვილმა, ხალხურმა მთქმელებმა ნ. ბულალაურმა, გ. მარცვალაშვილმა, ნ. გორელაშვილმა.

გაიმართა კონცერტი, მოეწყო სპორტული შეჯიბრებები. ზეიმი ჩარგლის ჭალაში გვიანობამდე არ შეწყვეტილა.

ზ. სიანაიძე.

წლევანდელ კირეველად

არქიტექტორ-რესტავრატორთა გამოშვება

საბჭოთა კავშირში წლეულს პირველად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ჩვენს უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში მოხდა არქიტექტორ-რესტავრატორთა გამოშვება.

წლეულს ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, ეკრანიკის, არქიტექტურის, არქიტექტორ-რესტავრატორების, ხელოვნებათმცოდნეობის, საფეიერო ნაწარმის მხატვრული დამუშავების, მოდელირების, ინტერიერის, გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებზე შესრულებულია 195 საღიპლომო ნაშრომი.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წინაშე პირველნი წარსდგნენ არქიტექტურის ფაკულტეტის დიპლომანტები (კათედრის გამგე რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ი. ჩხენკელი).

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიამ (თავმჯდომარე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ი. ნიკოლაიშვილი) მაღალი შეფასება მისცა კურსდამთავრებულთა ნამუშევრებს. დიპლომანტებმა თავიანთ ნაშრომებში გადაწყვიტეს ორი ძირითადი ამოცანა — მხატვრულ-ესთეტიკური და საინჟინრო-ტექნიკური (საინჟინრო დისციპლინების კათედრის გამგე პროფესორი დ. ქაჯაია).

საერთო მოწონება და დიდი ინტერესი ხედა არქიტექტორ-რესტავრატორთა სადიპლომო ნაშრომებს (ხელმძღვანელები — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. ციხვაძე და არქიტექტურის კანდიდატი დოცენტი ლ. ხიმშიაშვილი).

სადიპლომო ნამუშევრებში გამოვლინდა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების, მათი ისტორიის ღრმა ცოდნა. ამ განყოფილებებზე დაცული იყო 9 სადიპლომო შრომა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა და წარჩინების დიპლომი მიიღო რ. ქართველიშვილმა (თემა: უშგულის ხუროთმოძღვრული კომპლექსის დაცვის და რესტავრაციის პროექტი). სადიპლომო შრომები ფრიადზე დაიცვეს ტ. კიკნაროიძემ (თბილისის ძველი უნნის რესტავრაცია), მ. კასრაძემ (ვანის ნაკალაქევის არქეოლოგიური ძეგლების აღდგენა-რესტავრაცია) და სხვ.

არქიტექტურის განყოფილებაზე დაცული იყო 31 სადიპლომო შრომა. მაღალი შეფასება ხვდათ კურსდამთავრებულებს მ. სამხარაძეს (სპორტული დარბაზი 1500 მაყურებლისათვის), მ. ჭიორგაძეს (პიონერთა სასახლე ქ. ქუთაისში), ნ. გიორგაძეს (აქტიური დასვენების კომპლექსი ქ. ბაგრატი), ნ. ელაანოვს (კულტურის ცენტრი ქ. ორჯონიკიძეში), ვ. ჩხეიძეს (ეუსპერიმენტული სასწავლებელი), აღმშრდელობითი ცენტრი 3000 ადსაზრდელისათვის), თ. ფრიქმელიძეს (ქალაქი 50.000 მცხოვრებით) და სხვ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სამხატვრო აკადემიამ თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე სამშობლოს აღუზარდა სხვადასხვა პროფილის 18 ეროვნების 2.500-მდე ხელოვანი, მათ შორის 430-მდე ხუროთმოძღვარი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ხ. ნაციაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

ხურათზე: კადრი ფილმიდან „ცენტრალური თავდამსხმელი ცის ქვეშეთიდან“.

მთავარ როლში — ქართველი მსახიობი

ამ დღეებში თბილისის ქუჩებში შეამჩნევდით მოსკოვის გორკის სახელობის კინოსტუდიის გადაღებებ ჯგუფს... ახალ მუსიკალურ კინოკომედიას „ცენტრალური თავდამსხმელი ცის ქვეშეთიდან“ იღებს რეჟისორი ი. მაგიტონი. სცენარის ავტორია ვ. აქსიონოვი. მთავარი გმირის — კალათბურთელთა მწვრთნელის როლში რეჟისორმა მიიწვია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. წიფურია.

ვ. მორინთელი.

ა. მეტრეველი — ევროპის ოთხგზის ჩემპიონი

ავსტრიის დედაქალაქ ვინაში ტენისის კორტებზე დამთავრდა ევროპის მეშვიდე ჩემპიონატი მოზარეულ ჩოგბურთელთა შორის.

ვაჟთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი და უნგრეთის № 1 ჩოგანი ბალაშ ტაროცი.

ბრძოლა იშვიათი სიმძაფრით ხასიათდებოდა და ოთხნაბევარ საათს გაგრძელდა — 1:6, 6:0, 4:6, 7:6... მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში ანგარიშით 8:6 გაიმარჯვა ქართველმა ჩოგბურთელმა, რითაც რევანშიც აიღო ბ. ტაროცისთან გასულ წელს ფინალში დამარცხებისათვის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი გახდა.

მოსკოველმა ოლგა მოროზოვამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ქალთა ერთეულებში, სადაც პირველი იყო 20 წლის ჩეხოსლოვაკელი სტუდენტი რენატა ტომანოვა. გოგონათა ტურნირში მეორე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელი ნატალია ჩმირიოვა.

შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა ფინალური მატჩი ქალთა წყვილებს შორის, რომელშიც ასპარეზობდნენ საბჭოთა ოსტატები ოლგა მოროზოვა — მარინე კროშინა და ჩეხოსლოვაკიელები მარია ნავრატილოვა — რენატა ტომანოვა. გიამარჯვეს საბჭოთა ოსტატებმა.

ა. მეტრეველი.

ჰიდაობა. დღეს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში იწყება მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში იუნიორთა შორის. ჩვენი ქვეყნის ნაკრებში გამოდის სამი ქართველი ფალავანი — თბილისელები რიდი აბრამიშვილი და ავთანდილ მაისურაძე, ქუთაისელი თეიმურაზ აფხაზავა (სამივე — „დინამო“).

ცხენოსნობა. კიევში დამთავრდა ევროპის პირველობა ბაყვრობაში. დიდ წარმატებას მიაღწიეს დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც გუნდური პირველობა მოიპოვეს. მეორე ადგილზეა საბჭოთა ნაკრები.

მძლეოსნობა. საბჭოთა სპორტსმენი ნადეჟდა ტკაჩენკო (მაკეევკა) ორი სახეობის შემდეგ 1856 ქულით ლიდერობს ამერიკის ქალაქ ოუჩინში მიმდინარე სსრ კავშირის, აშშ-ისა და კანადის ნაკრებთა მატჩს მძლეოსნურ ხუთჭიდში. ვოუ ათჭიდელთა შორის (სსრ კავშირის, აშშ-ისა და პოლონეთის გუნდების მატჩი) ხუთი სახეობის შემდეგ დაწინაურდა 23 წლის ამერიკელი ფრედ დიკი — 4330 ქულა. ლენინგრადელი რუდოლფ ზიგერტი ჭერჭერობით მესამე ადგილზეა (4245), ოდესელი ნიკოლოზ ავილოვი — მეხუთეზე (4182 ქულა).

ფეხბურთი. გდრ-ის ნაკრებმა მეხიკოში წაადო ამხანაგური მატჩი მექსიკის გუნდთან — 0:1. წინა ორ შეხვედრაში კი გერმანელმა ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს — 3:2 და 1:0.

გფრ-ის ნაკრებისა და მიუნხენის „ბავარიის“ მეკარე, 31 წლის ზეპ მაიერი დასავლეთგერმანელმა ჟურნალისტებმა აღიარეს ქვეყნის ხუთეულთან ფეხბურთელად. მომდევნო ადგილებზე არიან მცველები ბერტ ფოგტსი (მეხენგლადბახის „ბორუსია“) და ფრანც ბეკენბაუერი („ბავარია“).

მაპაიდის ჩოგბურთი. ხუთი ოქროს, ორი ვერცხლის, სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში გამართულ ევროპის პირველობაზე იუნიორთა შორის. გოგონათა შორის კონტინენტის ჩემპიონი გახდა სვეტლანა ტატიანა ფერდმანი, ჭაბუკებში — ირეკვნელი ბაგრატ ბურნაზიანი. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს ტატიანა ფერდმანმა და პიატიგორსკელმა ნადეჟდა მიშკოვამ. ჩვენი ჩოგბურთელები უძლიერესი იყვნენ აგრეთვე უმცროსი ასაკის სპორტსმენთა გუნდურ ტურნირში.

ფრე მოსკოვში

ავირას მოსკოვში თბილისის „დინამო“ გოთამაშების მორიგ მატჩში ასპარეზობდა ცსკა-სთან. მეტოქენი გოთამაშების ცხრილში მეზობლად იყვნენ განლაგებული. ამასთან გამარჯვებული საგრძნობლად უახლოვდებოდა ლიდერთა ჯგუფს.

მაგრამ ამ დღეს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე, მიუხედავად მრავალი ცდისა, ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

პირველი ტაიმი არმიელების საკრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა და თამაშის 32-ე წუთზე ასათიანისა და ჭელიძის შეცდომის შედეგად გუნდის მთავარმა ბომბარდირმა კოპეიკინმა კინაღამ მიაღწია კიდეც წარმატებას, მაგრამ გოგიამ ოსტატურად ახსნა კარი.

შესვენების შემდეგ ბურთს მეტწილად დინამოელები ფლობდნენ და რამდენიმე მწვავე მომენტიც შექმნეს არმიელთა კართან. ჯერ იყო და მ. მაჩაიძის მეორ მორიდან ჩამოწოდებული ბურთი მცველმა უტკინმა გამოიტანა კარის ხაზიდან, შემდეგ ყიფიანმა და ხიზანიშვილმა ვერ დაარტყეს კარში და, ბოლოს, ქორიძის მძლავრად დარტყმული ბურთი ლამაზი ნახტომით აიღო მეკარე ასტაპოვსკიმ.

დინამოელთა შემადგენლობაში თამაშობდნენ: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მეჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ასათიანი (ხიზანიშვილი), გუდაევი, ყიფიანი.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა არმიელთა გუნდის მოთამაშემ მწვრთნელმა ფედოტოვმა, თამაშის მეორე ნახევარში კი ჭელიამ აღადგინა წონასწორობა.

ო. ნოზაძე.

ორი ბატონი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკაკშირო ჩემპიონატის კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა კვირას და ორშაბათს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. აი მათი შედეგები:

სკა — „დინამო“ მ. — 1:0
„ტორპედო“ — „სპარტაკი“ — 4:1

პირველ ლიგაში

მაიმარმა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურის მატჩები.

ალმა-ათაში ქუთაისის „ტორპედომ“ ანგარიშით 0:1 წააგო ადგილობრივ „კაირატთან“.

აი დანარჩენი შედეგებიც: „ბლეკ“ — „ყუბანი“ — 1:3; „პამირი“ — „სპარტაკი“ ნალჩ. — 0:0; „ნეფტჩი“ — „სპარტაკი“ ორჯ. — 0:0; „დინამო“ მნ. — „მეტალისტი“ — 4:1; „მეტალურგი“ — „ტავრია“ — 2:2; „შინიკი“—„ნისტრუ“ — 0:1; „კრილია სოვეტოვი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ. — 5:1; „კუზბასი“—„რუბინი“ — 2:0.

მოგვყავს მეორე ლიგის პირველი ზონის მორიგი ტურის მატჩების შედეგები: ბათუმის „დინამო“-რუსთავის „მეტალურგი“ — 0:1; მახარაძის „მერეხალი“-გორის „ფილა“ — 0:1; სამტრედიის „ლოკომოტივი“-ლანჩხუთის „ბურია“ — 4:1.

წინ ვასიუკოვია

ვილნიუსის ზონალურ ტურნირზე ჭადრაკში გაიმართა 4 ტური. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ მოსკოველმა დიდოსტატმა ვასიუკოვმა ყაიმი გააკეთა ციშკოვსკისთან და ახლა 3 ქულით ლიდერობს ტურნირს. თბილისელმა დიდოსტატმა გუფელდმა წაადო ალბურტთან და მუშაობ ტუაფსიოს. შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ბელიავსკემ ოთხ ტურში ოთხი ყაიმი გააკეთა.

მძღოლი, სპეკულანტი და ხილ-ბოსტნეული

ხიცხისაგან მიწა გამოშრა და დასკდა. ჩვენი სახელოვანი კოლმეურნეების დასახმარებლად მშრომელი ხალხი ყველა კუთხიდან დაიძრა. რკინიგზელები, ავტომანქანების მძღოლები კახეთის ბაღ-ვენახებისაკენ გაეშურნენ, ცისტერნებით ათასობით ტონა წყალი მიაქვთ, სახალხო ბრძოლაა გაჩაღებული მოსავლის გადასარჩენად. ყველა პატიოსანი ადამიანი რითაც კი შეუძლია ეხმარება გვალვისაგან განსაცდელში მყოფ სოფლის მშრომელებს.

სხვისი ჭირი—ოფლის ჩხირია, ამ მორალით მოქმედებს ზოგიერთი უპატიოსნო ადამიანი, რომლებიც პირადი გამორჩენის მიზნით უარს არ ამბობენ არამ ლუკმაზე. მეტად სოლიდური ორგანიზაციაა „საქსახწყალპროექტი“. როგორც ამ დაწესებულების სახელწოდება მიგვანიშნებს, სწორედ მისი თანამშრომლები უნდა იყონ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ინტიერესი დამხმარენი. „საქსახწყალპროექტს“ ბევრი ავტომანქანა აქვს და მათი გარაჟი (გამგე გ. ჯოშმანაშვილი) გარდაბნის რაიონში თეთრი ხევის დასახლებაშია. მძღოლმა ზურაბ ბიწკინაშვილმა გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში ავტომანქანა (90-89 ერნ) კერძო პირთა ეკუთვნილ ტონა საზამთროთი დატვირთა, ზედ გაბრიელ გოგიშვილი, ვალიკო ხატაშვილი, არჩილ გელაშვილი დასხა და გზას გაუდგა. ექვსას მანეთს დაზარბებული შოფერი საზამთროთი პირამდე დატვირთულ ავტომანქანას ქარაგით მიაქროლებდა. გადაჭარბებული სიჩქარის გამო გამთენიისას ქარელთან ზ. ბიწკინაშვილმა ავტომანქანის საჭე ვერ დაიმორჩილა, გადავიდა გზის სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს და გადაბრუნდა. გ. გოგიშვილი შეშთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ვ. ხატაშვილი და ა. გელაშვილი დაშავდნენ და საავადმყოფოში მოათავსეს. ასეთი ტრაგედია დატრიალდა იოლი გამდიდრების მოყვარულთა მიზეზით.

ხალტურის გამოუსწორებელი მოყვარულია მერაბ ზირაქაშვილი. ივი „საქნავთგეოფიზიკის“ ტრესტში მუშაობს და გაპირობებულია „ზილ -157“ სატვირთო ავტომანქანაზე (64-27 ვან). ერთი ტონა ყველა ეს ... ტონა საზამთრო მიჰქონდა ქუთაისისაკენ.

ხალტურისა და იოლი გამდიდრების მტრფიალე მძღოლებს ჩვენი რესპუბლიკის რომელ კუთხეში არ ნახავთ. ცხაკაიის ავტოსატრანსპორტო საწარმოს სატვირთო ავტომანქანა (94-60 გრც) მძღოლს ჯემალ შონიას აზერბაიჯანელი გიულ მამედოვ მაგრამ ნახარლიოღლისა და ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკანში მცხოვრები მ. გ. იმერლიშვილის ნესვითა და საზამთროთი დაეტვირთა და ვინ იცის საით უნდოდა წასულიყო.

ყველასათვის ნთელია, რომ ახლა სპეკულანტები და იოლი გამდიდრების ბრალ მოყვარულნი ისე თავისუფლად ვერ დაპარაპაშობენ, როგორც წინათ. იმ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები რომელთაც ავტოტრანსპორტი აბარიათ, მეტ კონტროლსა და გულისხმიერებას რომ იჩენდნენ მინდობილი საქმისადმი, მაშინ, ვფიქრობთ, მომხვეჭელებს საბოლოოდ მოეცრებოდათ ხელი. ამასთან ისიც უნდა თქვას, რომ ამ საქმეში გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს თვითონ საზოგადოებრიობამ.

ბ. ბახტურიძე.

ზოგიერთი ცრურწმენის შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სრულფასოვანი დასვენების გარეშე არც მაღალნაყოფიერი, ჭეშმარიტად შემოქმედებითი შრომაა. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, დღესაც ძალიან ბევრი ადამიანის დასვენების ხარისხზე გავლენას ახდენს მათი დიდი მიდრეკილება მათ მიერ ზედმეტად შეფასებული კომფორტისადმი, ქალაქის კეთილმოწყობილი ბინების მოხერხებული პირობებისადმი, სადაც აუცილებლად უნდა იყოს ტელევიზორი, რბილი ავეჯი, ხალიჩები. ჩვენ ისედაც თავი ჩავიფიქეთ ბეტონში, შევიმოსეთ სინთეტიკით, გარს შემოვირტყით პლასტმასის ნაკეთობანი, ვმოძრაობთ ავტომობილით, მეტროთი და სულ უფრო ვერიდებით... ფეხით სიარულს. ყოველივე ამის ახსნა თვითეულს წინასწარ მზადა აქვს: „აუცილებელი ხარკი ცივილიზაციისადმი“

მაგრამ განა ნამდვილად აუცილებელია ეს ხარკი? რატომ არის, რომ ადამიანი — ბუნების შვილი — ქალაქების გრუხუნში, ფაცაფუცსა და მტვერში მხოლოდ უნდა ოცნებობდეს იდილიურ სიწყნარეზე, მინდვრების ხივრცეზე, დიადი მდინარეების, წყნარი ტბების, მზით განათებული ტყის პირების სილამაზეზე, ხალხით გაჭედილ ელიქტრომატარებელს რომ დაადღროის თავი, ხარბად შეისუნთქოს ბალახების სუნით გაჟღენთილი, ხუფთა ჰაერი?

ამავე დროს კი, თვითეულ ადამიანს, თუ იგი თავის ქალენდარს ჩაუფიქრდება, შეუძლია — დარწმუნებული ვარ ამაში! —უფრო ხმირი გახადოს თავისი შეხვედრები ბუნებასთან: ცოტად თუ ბევრად რეგულარულად წავიდეს ხოლმე ტურისტულ ლაშქრობაში, სათევზაოდ, სოფოს, კენკრის საკრეფად, ბალახის ტყის სხვა ძღვნის სამოვნელად. ბუნებასთან ურთიერთობა წარმოშობს დადებითს ემოციებს, კეთილ გავლენას ახდენს ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ყოველდღიური გამაღიზიანებლებისაგან განტვირთავს ნერვულ სისტემას, ამაღლებს ადამიანთა შემოქმედებითს პროდუქტიულობას, „ჩემი წარმოსახვა ცოცხლად მუშაობს, წერდა ა. ხ. პუშკინი, — რიცა ტყეში დავეხეტები და ამასთან არაგინ არ მიშლის ვიფიქრო“. გამოჩენილი ფიზიკოსი გ. ჭელმჰოლცი აღიარებდა: „ჭეველზე წარმატებითი აზრები მომდიოდა მზიან მეპეის ტყიან მწვერვალზე ნელი ასვლის დროს“. ამას უნდა დავიმოთ, რომ ყველაზე თანამედროვე ფილტრები ჰაერის განმშობის თავისებურებებთან. მზის გულზე ხანგრძლივად „მიფიცხებას“ შეუძლია მხოლოდ დაარღვიოს ძილი, გაუარესოს გულის მდგომარეობა, გაანელიროს ბალიანება, გამოიწვიოს კანის დამწვრობა. სხვანირად რომ ვთქვათ, მზე სასტიკად სჯის გაუფრთხილებლებს.

ვინ იტყვის რამეს იმ საერთო თეზისის წინააღმდეგ, რომ მოძრაობის მსაობრივი აღკვეთის, ჰიპოდინამიის ჩვენს ხანაში ფიზიკური აქტივობა ნაკლებ ხარისხით ოდნავაც ვერ შეედრება ტკეცს — ხეები, ბუჩქარი აქტიურად ნთქავს ნახშირორჟანგს, და უფრო ხაიმდოდ იცავს ადამიანის ფილტვებს მტვრისა და ყოველნაირი მავნე მინარევებისაგან, მის კანს კი — მზის ჭარბი სხივებისაგან. მეცნიერულობა ატმოსფეროს ამდიდრებს მაურნავი იონებითა და ფიტონციდებით. ვერ ვხედავდეთ ყოველივე ამის მნიშვნელობას ჯანმრთელობისათვის, გადაჭარბებით ვაფასებდეთ ქალაქის კომფორტს, სამწუხაროდ, გავრცელებული ცრურწმენაა.

მეორე ცრურწმენაა ჯანმრთელობასთან მუშამოკიდების გაიგივება. მართლაც, მუშემოკიდებული ადამიანი უკეთ გამოიყურება, ბრინჯაოსფერი კანი უფრო საიმედოდ იცავს სხეულს გადამეტბურებისაგან. მაგრამ მზის სხივების ზემოქმედება სულაც არ არის განურჩეველი ორგანიზმისათვის, იგი სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოსხივების დრო ზუსტად შეთანაზომიერებულია ასაკთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ორგანულ ... ...